





# შტეფან ცვირიძე

კასტელიო  
კადვინის,  
ანუ სინდისი  
ძადადობის  
წინააღმდეგ

შტეფან ცვაიგი  
კასტელიო კალვინის, ანუ სინდისი ძალადობის წინააღმდეგ

Stefan Zweig  
CASTELLIO GEGEN CALVIN ODER EIN GEWISSEN GEGEN DIE GEWALT

გერმანულიდან თარგმნა მარია ბოჭორიშვილმა

© გამომცემლობა „დიოგენე“ 2024  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-866-1

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

## სარჩევი

1. შესავალი.....	9
2. კალენის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება.....	23
3. Discipline .....	46
4. კასტელიოს გამოჩენა .....	72
5. სერვეტის საქმე.....	95
6. სერვეტის მკვლელობა.....	114
7. ტოლერანტობის მანიფესტი.....	135
8. სინდისის ამბოხი ძალადობის წინააღმდეგ .....	160
9. ძალა უსწორდება სინდისს .....	180
10. პოლუსების თანხვედრა .....	212



მომავალი თაობებისთვის წარმოუდგენელი იქნება იმის გააზრება, რომ მას შემდეგ, რაც ერთხელ განათდა, რატომღაც გვიწვედა ისევ ამგვარ წყვილადში ცხოვრება.

*კასტელიო, De arte dubitandi,<sup>1</sup> 1562 წ.*

Celui qui tombe obstiné en son courage, qui, pour quelque danger de la mort voisine, ne relâche aucun point de son assurance, qui regarde encore, en rendant l'âme, son ennemi d'une vue ferme et dédaigneuse, il est battu, non pas de nous, mais de la fortune; il est tué, non pas vaincu: les plus vaillants sont parfois les plus infortunés. Aussi y a-t-il des pertes triomphantes à l'envi des victoires...<sup>2</sup>

*მონტენი*

---

<sup>1</sup> დაეჭვების ხელოვნების შესახებ.

<sup>2</sup> ის, ვინც დაეცა ისე, რომ არ უღალატია თავისი ვაჟკაცობისთვის, დაცემულიც კი აგრძელებდა ბრძოლას; ის, ვინც სიკვდილის მუქარის წინაშეც ინარჩუნებდა თავდაჯერებას, ის, ვინც უკანასკნელი ამოსუნთქვის დროსაც იყო მტკიცე და მძულვარე მზერით შეჰყურებდა მტერს, კვდება, მაგრამ დამარცხებული არ არის. ხშირად ყველაზე მამაცნი ყველაზე უიღბლონიც არიან. არსებობს კი ისეთი დიდებული მარცხი, რომელიც გამარჯვებულის შურს იწვევს?





## 1. შესავალი

„კოლო სპილოს წინააღმდეგ“ – თავიდან გეუცნაურება კაცს პოლემიკური ნაწარმოების ბაზელურ ეგზემპლარზე სებასტიან კასტელიოს ხელითვე მიწერილი ეს ფრაზა და უპრიანი იქნებოდა, გვევარაუდა, რომ მინანური მხოლოდ ჰუმანისტისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი გაზვიადება იყო, მაგრამ კასტელიოს სიტყვები ირონია ან ჰიპერბოლა არ ყოფილა. ამ უშიშარს ასეთი მკვეთრი დაპირისპირებით სურდა, თავისი მეგობარი ამერბახისთვის ნათლად ეჩვენებინა, თავად მისთვისვე რაოდენ ტრაგიკულად ცხადი იყო, როგორ ბუმბერაზ მონინააღმდეგეს ინვეცია, როდესაც კალვინს საქვეყნოდ სდებდა ბრალს ფანატიკური სიჯიუტის გამო ადამიანის და ამ ქმედებით რეფორმაციის წიაღში სინდისის თავისუფლების მკვლელობაში. იმ წუთიდანვე, როგორც კი კასტელიო კალამს შუბივით მოიმარჯვებს ამ სახიფათო კამათის წამოსაწყებად, კარგად ესმის ყოველგვარი პოლემიკური ომის უსუსურობა დაჯავშნილი და აბჯარასხმული დიქტატურის აღმატებული ძალის წინაშე და, მაშასადამე, თავისი წამოწყების უპერსპექტივობაც. ან კი როგორ შეეძლო დაუცველს, მარტოს კალვინთან შებრძოლება და მით უფრო – იმის დამარცხება, ვის უკანაც სახელმწიფო ხელისუფლების აგრესიულ, მძლავრ აპარატთან ერთად ათასობით და ათიათასობით მომხრე იდგა?! დიდებული ორგანიზატორული ნიჭის წყალობით, კალვინმა მოახერხა, მთელი ქალაქი, მთლიანი სახელმწიფო, სადაც მანამდე ათასობით თავისუფალი მოქალაქე იყო, მორჩილების გახე-

ვებულ მექანიზმად ექცია, ყოველგვარი თვითმყოფადობა აღმოეფხვრა, ყოველი თავისუფალი აზრი განედევნა მხოლოდ და მხოლოდ თავისი მოძღვრების სასარგებლოდ. ყველაფერი, რაც კი გავლენიანია სახელმწიფოში – უკლებლივ ყველა უწყება და რწმუნებულება, მაგისტრატი და კონსისტორიუმი, უნივერსიტეტი და სასამართლო, ფინანსები და მორალი, მღვდლები, სკოლები, ციხეები, ჯალათები, დაწერილი თუ ნალაპარაკევი, ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვაც კი – მის ყოვლისმომცველ ძალაუფლებას ექვემდებარება. მისი მოძღვრება კანონად იქცა და ვინც მასთან ოდნავაც კი გაბედავს შედავებას, მას უმაღლვე ჭკუას ასწავლის საპყრობილე, გაძევება ან კოცონი – ყოველგვარი დისკუსიისთვის ბოლოს მომღები სასულიერო ტირანიის ეს არგუმენტები, რომ ყენევაში მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება შეიწყნარება და მისი წინასწარმეტყველი კალვინია. მაგრამ უფრო შორს, ქალაქის კედლებს მიღმაც სწვდება ამ შემზარავი კაცის შემზარავი ძლევამოსილება. შვეიცარიის გაერთიანებული ქალაქები მას უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოკავშირედ მიიჩნევენ. პროტესტანტული სამყარო თავის სულიერ მხედართმთავრად Violentissimus Christianus<sup>3</sup>-ს ირჩევს; თავადები და მეფეები ირჯებიან ეკლესიის ამ წინამძღოლის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, რომელმაც ევროპაში, რომაულის გვერდით, ქრისტიანობის უძლიერესი ორგანიზაცია შექმნა. აღარცერთი იმდროინდელი პოლიტიკური მოვლენა არ ხდება მასთან შეუთანხმებლად და ძნელად თუ რომელიმე – მისი ნების წინააღმდეგ. წმ. პეტრეს ტაძრის მქადაგებლის გადამტერება უკვე ისეთივე სახიფათო გახდა, როგორც კეისრის ან პაპის.

და ვინ არის მისი ოპონენტი – სებასტიან კასტელიო, რომელიც აზროვნების თავისუფლების სახელით ამ თუ ნებისმიერ სხვა ტირანიას ბრძოლას უცხადებს?! მართლაც, კოლო სპილოს წინააღმდეგ! კალვინის ფანტასტიკურ ძლიერებასთან შედარებით ის არავინ და არაფერია, არარაობაა საზოგადოებრივი გავლენის თვალსაზრისით! ამასთანავე, იგი ერთი ლატაკი, გლახა მწიგნობარია,

---

<sup>3</sup> დაუცხრომელი ქრისტიანი.

ლტოლვილი უცხო ქვეყანაში, იქ დარჩენისა და მოქალაქეობრივი უფლებების გარეშე, ორგზის ემიგრანტი, რომელიც ცოლ-შვილს გაჭირვებით არჩენს თარგმანებითა და შინ ჩატარებული კერძო გაკვეთილებით. როგორც ყოველთვის, მსოფლიო ფანატიზმის ჟამს ჰუმანური ადამიანი უძლური და სრულიად მარტო რჩება ერთმანეთთან მებრძოლ ფანატიკოსებს შორის. ეს დიდი და მორიდებული ჰუმანისტი წლების განმავლობაში მიათრევს თავის უბადრუკ ყოფას, დევნისა და სილატაკის ჩრდილში მოქცეული, მუდამ დათრგუნვილი, მაგრამ მუდამ თავისუფალიც, არცერთ პარტიას მიმხრობილი და არც რომელიმე სახის ფანატიზმთან შეკრული. მხოლოდ მაშინ, როდესაც იგრძნობს, რომ სერვეტის მკვლელობის შემდეგ სინდისი არ მისცემს გაჩუმების უფლებას, მოშორდება იგი თავის მშვიდობიან ნაშრომს, რათა ადამიანთა შებლაღუელი უფლებების სახელით ბრალი დასდოს კალვინს. მხოლოდ ამის შემდეგ გადაიზრდება მისი სიმარტოვე გმირობაში, ვინაიდან მისი ომს შეჩვეული მოწინააღმდეგისგან განსხვავებით, კასტელიოს არ ჰყავს ირგვლივ შემოჯარული და რიგიანად დარაზმული ამაღა; არცერთი პარტია – არც კათოლიკური და არც პროტესტანტული – არ უცხადებს თანადგომას; დიდი ბატონები, კეისრები და მეფეები არ აფარებენ ხელს, როგორც ერთ დროს ლუთერს ან ერაზმს, და ის რამდენიმე მეგობარიც კი, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან მისით, მხოლოდ მალულად ბედავს მის გამხნევებას... რადგან მეტისმეტად სახიფათო, სიცოცხლისთვის საშიშია დაუფარავად მხარდაჭერა კაცისა, რომელიც მაშინ, როდესაც დროის ზმანებას აყოლილ ყველა ქვეყანაში ერეტიკოსებზე ნადირობაა გამოცხადებული – მათ აწამებენ და პირუტყვებით ექცევიან, ამ უფლებაყრილ და კაბალაში მოქცეულთა დასაცავად უშიშრად აღიმაღლებს ხმას, ერთეულ შემთხვევაზე მაღლდება და ერთხელ და სამუდამოდ უარყოფს დედამიწის ყველა მმართველის უფლებას, მსოფლმხედველობის გამო ადამიანი დევნოს; [საშიშია] იმ ადამიანის გვერდით დადგომა, რომელიც გონებათა დაბინდვის იმ საშინელ წუთებში, რომლებიც დროდადრო ყველა ხალხს მოიცავს ხოლმე, ბედავს, ნა-

თელი ხედვა შეინარჩუნოს და ამ ვითომდა ღვთის სადიდებლად ატეხილ ხოცვა-ჟლეტას თავისი ნამდვილი სახელი – მკვლელობა, მკვლელობა და კვლავ მკვლელობა უწოდოს... რომელიც, თავისი უღრმესი ადამიანური გრძნობებით ამოდრავებული, ერთადერთი ველარ ითმენს დუმილს და უღმობლობით გამოწვეულ სასონარ-კვეთილებას ცას შეჰკივის; მარტო იბრძვის ყველასთვის და ყველას წინააღმდეგ... მარტო! ვინაიდან ვინც ჟამისგან რჩეული მბრძანებლების ან ძალაუფლების მიმნიჭებელთა წინააღმდეგ ხმას აღიმალლებს, ის ნაკლები მიმდევრის გამოჩენას უნდა ელოდოს ჩვენი მიწიერი მოდემის მარადიული სილაჩრის გამო. ამგვარად, სებასტიან კასტელიოსაც გადამწყვეტ წუთებში, საკუთარი ჩრდილის გარდა, არავინ უმაგრებს ზურგს და არავითარი ქონება არ გააჩნია, გარდა მებრძოლი ხელოვანის ერთადერთი ხელშეუვალი საკუთრებისა – უშიშარ სულს შეფარებული შეუბღალავი სინდისისა.

მიუხედავად იმისა, რომ კასტელიოს თავიდანვე ესმოდა თავისი ბრძოლის უიმედობა, ის, თავისი სინდისის მორჩილმა, მაინც წამოიწყო და სწორედ ეს წმინდა „მაინც და მიუხედავად ყველაფრისა“ კაცობრიობის დიდი განმათავისუფლებელი ომის ამ უცნობ ჯარისკაცს ყველა დროში გაუთქვამს სახელს, როგორც გმირს. თუნდაც ამ გამბედაობის გამო და იმიტომ, რომ ერთეული და ერთადერთი უცხადებს მგზნებარე პროტესტს მსოფლიო ტერორს, კასტელიოს გალაშქრება კალვინის წინააღმდეგ ყოველი მოაზროვნე ადამიანისთვის სამახსოვროდ დარჩებოდა, მაგრამ ეს ისტორიული დისკუსია პრობლემათა წყობის არსითაც ყოველმხრივ აჭარბებს თავის გამომწვევ წარმავალ საბაბს, რადგან აქ საქმე არც მხოლოდ თეოლოგიურ კინკლაობას, არც მხოლოდ ერთ ადამიანს – სერვეტს, თვით ლიბერალურ და ორთოდოქსულ პროტესტანტიზმს შორის გამწვავებულ კრიზისსაც კი არ ეხება. ამ ცხარე კამათში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, მარადიული საკითხია წამოჭრილი *\_nostra res agitur<sup>4</sup>*; ბრძოლაა წამოწყებული, რომელიც სხვადასხვა სახელით

---

<sup>4</sup> ეს ჩვენ გვხვება.

და სხვადასხვა ფორმით ყოველთვის ხელახლა უნდა გადაიხადო. თეოლოგია აქ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა დროის შემთხვევით ნიღაბს და თვით კასტელიო და კალვინი წარმოგვიდგებიან, როგორც უჩინარი და დაუძლეველი წინააღმდეგობის ყველაზე მგრძობიარე მიმანიშნებლები. სულერთია, რაც უნდა უნოდონ ამ მუდმივი დაძაბულობის პოლუსებს: ტოლერანტობა – შეუწყნარებლობის, თავისუფლება – მეურვეობის, ჰუმანურობა – ფანატიზმის, ინდივიდუალობა – მექანიზმად ქცევის, თუნდაც, სინდისი ძალადობის წინააღმდეგ, ყველა ეს სახელწოდება გამოხატავს საბოლოო, ყველაზე გულისმიერ, პირად გადანყვეტილებას, რა არის უფრო მნიშვნელოვანი ადამიანისთვის – ჰუმანიზმი თუ პოლიტიკა, ეთოსი თუ ლოგოსი, პიროვნება თუ ერთობლიობა?! ვერცერთი ხალხი, ვერცერთი დრო და ვერცერთი მოაზროვნე ადამიანი ვერ გაექცევა ამ, ისევ და ისევ, ხელახლა გასავლებ მიჯნას თავისუფლებასა და ავტორიტეტს შორის, ვინაიდან თავისუფლება შეუძლებელია ავტორიტეტის გარეშე (სხვაგვარად ის ქაოსში გადაიზრდება), ავტორიტეტი კი – თავისუფლების გარეშე (სხვაგვარად ის ტირანიად იქცევა). ადამიანის ბუნებაში უეჭველად ცოცხლობს იდუმალი სწრაფვა ერთობლიობაში გათქვეფვისკენ, ძვალ-რბილში გამჯდარი გვაქვს ძველთაძველი ილუზია, რომ შეიძლებოდა შექმნილიყო ერთი გარკვეული რელიგიური, ნაციონალური ან სოციალური სისტემა, რომელიც მთელი კაცობრიობისთვის სამართლიანობას, მშვიდობასა და წესრიგს დაამყარებდა. დოსტოევსკის დიდმა ინკვიზიტორმა საზარელი დიალექტიკით დაამტკიცა, რომ ადამიანთა უმრავლესობას საკუთარი თავისუფლება აშინებს კიდევ და პრობლემების მომქანცველი მრავალსახეობით, ცხოვრების სირთულითა და პასუხისმგებლობის აუცილებლობით დაღლილობის გამო უმეტესობა, ფაქტობრივად, სამყაროს სისტემატიზაციისკენ ისწრაფვის საბოლოო და ყოვლისმომცველი წესრიგის მეშვეობით, რომელიც ყველანაირ გონებრივ სამუშაოს მოაშორებს მათ და მას თავად იტვირთებს. სწორედ ყოფიერების გაიოლებისკენ ეს მესიანური ლტოლვა წარმოქმნის ფერმენტს, რომელიც ყველა სოციალურ და რელიგიურ

წინასწარმეტყველს გზას უკვალავს: როდესაც ერთი რომელიმე თაობის იდეალები თავის ფერებსა და მხურვალეებას კარგავს, საჭიროა, მხოლოდ ადგეს ერთი რიხიანი, შთაგონების უნარით დაჯილდოებული კაცი და დაბეჯითებით განაცხადოს, რომ მან და მხოლოდ მან აღმოაჩინა ან გამოიგონა ახალი ფორმულა და ნაკადებად წამოვა ათასების ნდობა ამ ვითომდა ხალხის თუ სამყაროს მხსნელისკენ – ახალი იდეოლოგია ხომ, უწინარეს ყოვლისა, ახალ იდეალიზმს ქმნის დედამიწაზე (და ეს არის, ალბათ, მისი მეტაფიზიკური არსი), რადგან ვინც ადამიანებს ერთობისა და სისპეტაკის ახალ ილუზიას ჩუქნის, მათგან ჯერ უწმინდეს ძალებს – მათ თავგანწირულებასა და აღმაფრენას – ისრუტავს. თითქოს მოჯადოებული მილიონობით ადამიანი მზად არის, დანებდეს, განაყოფიერდეს, პატივიც კი ააყრევინოს... და რაც უფრო მეტს მოითხოვს მათგან ამგვარი ქადაგი თუ მაცნე, მით უფრო მეტად არიან განწირულნი მის ნადავლად ქცევისთვის. იმას, რაც გუშინ უდიდეს სიხარულს განაცდევინებდათ და მათი თავისუფლება იყო, ახლა საკუთარი ნებით მოისვრიან შორს, რათა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ემართვინონ მათ. კვლავ და კვლავ აღსრულდება ძველთაძველი *ruere in servitium*<sup>5</sup>, როცა სოლიდარობის მგზნებარე გრძნობით გაბრუებული ხალხები ნებაყოფლობით ცვივდებიან კაბალაში და იმ მათრახს, რომელსაც მათ ურტყამენ, კიდევ აქებენ.

მერე რა, თუ ყოველი მოაზროვნე ადამიანისთვის თავისთავად ამაღლებულია აზრი, რომ ისევ და ისევ იდეა – ეს ყველაზე უფრო არამატერიალური ძალა დედამიწაზე, არის ის, რაც შთაგონების ასეთ წარმოუდგენელ საოცრებებს ახდენს ჩვენს ბებერ, უხალისო, მექანიზებულ მსოფლიოში და კაცს იოლად შეიპყრობს ცდუნება, ამ ქვეყნის გამბრიყვებლებით აღფრთოვანდეს და მათ ხოტბა შეასხას, რადგან ისინი აზრისა და სულიერების ძალით ჩლუნგი მატერიის გარდაქმნას ახერხებენ. მაგრამ, საბედისწეროდ, თითქმის ყოველთვის, გამარჯვების შემდეგ სწორედ ეს იდეალისტები და უტოპის-

---

<sup>5</sup> ნებაყოფლობითი მონობა.

ტები გამოაშკარავდებიან ხოლმე სულიერების უსაზიზღრეს მოლა-  
ლატეებად, ვინაიდან ძალაუფლებას მივყავართ ყოვლისმომცველ  
ძალაუფლებასთან, გამარჯვებას – გამარჯვების ბოროტად გამოყე-  
ნებასთან და იმით დაკმაყოფილების ნაცვლად, რომ თავიანთი პი-  
როვნული, აკვიატებული ქიმერით ამდენი ადამიანი ისე ალაფრთო-  
ვანეს, რომ ისინი სიხარულით არიან მზად, მისთვის იცოცხლონ და  
დაიხოცონ კიდევ, ეს კონკისტადორები ცთუნებას აპყობიან და  
თითოეულ მათგანს წადილი იპყრობს, მრავალრიცხოვნება ტოტა-  
ლიტარიზმად გარდაქმნას, საკუთარი დოგმა კი განზე მდგომთაც  
თავს მოახვიოს. მათ აღარ ჰყოფნით მხოლოდ თავიანთი მორჩი-  
ლები, თავიანთი დამქაშები, მხოლოდ სულით მონები, ნებისმიერ  
მოძრაობასთან მარად მიტმასნილნი – არა! ნებავეთ, თავისუფლები  
და თითო-ოროლა დარჩენილი დამოუკიდებელიც თავიანთ მეხოტ-  
ბეებად და ყურმოჭრილ მონებად აქციონ და იმისთვის, რომ საკუ-  
თარი დოგმა საყოველთაოდ მისაღები გახადონ, ყოველ განსხვავე-  
ბულ აზრს სახელმწიფო ხელისუფლების ძალით დანაშაულებრივად  
აცხადებენ. მარად ახლდება ყველა რელიგიური და პოლიტიკური  
იდეოლოგიის წყევლა – როგორც კი ის დიქტატურად იქცევა, მაშინ-  
ვე ტირანიად გარდაიქმნება, ხოლო როგორც კი იდეოლოგი ჭეშმა-  
რიტების იმანენტურ ძალას აღარ დაენდობა და უხემ ძალას წაატანს  
ხელს, იმ წუთიდანვე იგი ომს უცხადებს ადამიანის თავისუფლებას.  
სულერთია, რომელი იდეაც უნდა იყოს – ყოველი და ნებისმიერი,  
იმ დროიდან მოყოლებული, როცა ის ტერორს გამოიყენებს იმის-  
თვის, რომ სხვისი მრწამსი განსაზღვროს და ერთიან ნორმად აქ-  
ციოს, იდეალურობას კი აღარ გულისხმობს, არამედ – ძალადობას.  
თვით წმინდა წყლის ჭეშმარიტებაც კი, სხვებისთვის ძალად თავს  
მოხვეული, სულიერების წინააღმდეგ ჩადენილ ცოდვად იქცევა.

მაგრამ თავისუფალი აზრი იდუმალებით მოცული კომპონენ-  
ტია, ხელშეუხებელი და უჩინარი, როგორც ჰაერი. ის თითქოს  
იოლად ერგება ყველა ფორმასა და ფორმულას, ამიტომ ისევ და  
ისევ სატყუარად რჩება დესპოტური ბუნების ადამიანებისთვის და  
აფიქრებინებს მათ, რომ შესაძლებელია მისი სრულად შეკუმშვა,

ჩაკეტვა, სურვილისამებრ, ბოთლებში ჩასხმა და დაცობა, მაგრამ ყოველი ზენოლით იზრდება მისი დინამიკური უკუქმედება და სწორედ მაშინ, როცა სრულად არის შეკუმშული და წნეხის ქვეშ მოქცეული, იქცევა ფეთქებად ნივთიერებად, რომელმაც ბოთლი უნდა გახეთქოს. ყოველგვარ ჩაგვრას, ადრე თუ გვიან, ამბოხამდე მივყავართ იმიტომ, რომ კაცობრიობის მორალური თვითმყოფადობა – და ეს არის მარადიული ნუგეში – დიდხანს რჩება ურყევი. დედამინაზე აქამდე არასდროს ყოფილა, რომ ქვეყანას მარტოოდენ ერთადერთი რელიგია, ერთადერთი ფილოსოფია, მსოფლმხედველობის ერთადერთი სისტემა მოხვეოდა თავს და ეს არც არასდროს მოხერხდება, რადგან სინდისი ყოველთვის შეძლებს მონობას საკადრისი პასუხი გასცეს, ყოველთვის შეენინაალმდეგება წინასწარ დადგენილი ნორმებით აზროვნებას; არ შეეგუება დამდაბლებას, მოდუნებასა და უსიცოცხლობას, ვინმეს მიერ დაკნინებასა და აზრის ერთსახოვნების თანამოზიარობას. ამიტომ რაოდენ უშედეგო და ფუჭია ყოველგვარი ჯაფა ყოფიერების ღვთაებრივი მრავალფეროვნების გაერთმნიშვნელობის სურვილის განსახორციელებლად, კაცობრიობის შავ-თეთრად – კეთილებად და ბოროტებად, ღვთისმოშიშებად და მწვალებლებად, სახელმწიფოს მორჩილებად და სახელმწიფოს მტრებად დასაყოფად მხოლოდ და მხოლოდ მუშტის ძალაუფლებით დამკვიდრებული პრინციპების საფუძველზე. ყველა დროში მოიძებნებიან დამოუკიდებლად მოაზროვნენი, რომლებიც ადამიანის თავისუფლების მიმართ ამგვარი ძალადობის წინააღმდეგ გაილაშქრებენ, conscientious objectors<sup>6</sup>, რომლებიც სინდისის ყოველნაირ იძულებას შეუპოვრად გამოუცხადებენ დაუმორჩილებლობას. არასდროს ყოფილა ჟამი ისეთი ბარბაროსული და ტირანია – ისეთი სისტემური, რომ ერთეულებს მაინც არ შესძლებოდათ, მასობრივ ძალადობას გაჰქცეოდნენ და მოძალადე მონომანების წინაშე თავიანთი პიროვნული მრწამსი და ერთადერთი ჭეშმარიტება დაეცვათ.

---

<sup>6</sup> მრწამსისმიერი მოწინააღმდეგენი.



XIX საუკუნეც – თუმცა, ჩვენი საუკუნის მსგავსად, ისიც მეტისმეტად იყო გახელებული ძალადობრივი და სასტიკი იდეოლოგიებით – იცნობდა ასეთი თავისუფალი და მოუსყიდველი სულის ადამიანებს. თუ ვინმე იმდროინდელი ჰუმანისტების წერილებს წაიკითხავს, ძალადობით თავგზააბნეული მსოფლიოს გამო მათდამი ძმური ნუხილის განცდა დაეუფლება და აღელვებული თანაგრძნობს მათ, რადგან ისინი სულით ხორცამდე შეძრულნი არიან დოგმატიკოსების ბაზრის აბეზარა მოვაჭრისთანა დაჟინებული, უაზრო ღალადით, რომელთაგან ყოველი აუნყებს: „რასაც ჩვენ ვქადაგებთ – სწორია და რასაც არ ვქადაგებთ – მცდარი“. ოჰ, როგორი ძრწოლა იპყრობს თავშეკავებულ მსოფლიოს მოქალაქეებს კაცთა მოდგმის ამ უღმობელ გამომსწორებელთა წინაშე, რომლებიც, მათ მშვენიერების რწმენით აღსავსე სამყაროში შემოჭრილნი, დუჟმორეულნი ძალადობრივ ორთოდოქსიას აცხადებენ. ოჰ, როგორ სულით ხორცამდე ზარავთ მათ ეს სავონაროლები, კალვინები და ჯონ ნოქსები, რომელთაც დედამიწაზე მშვენიერების მოკვდინება და ქვეყნის მორალის სემინარად გადაქცევა სურთ. ყველა ეს ბრძენი და ჰუმანური ადამიანი ტრაგიკული სიცხადით ჭვრეტს და აცნობიერებს იმ უბედურებას, რომელიც ამ გააფთრებულმა, კერპმა მოპაექრებმა ევროპას უნდა მოუტანონ. ამ დაჟინებით წარმოთქმული სიტყვების მიღმა მათ უკვე იარალის ჟღარუნი ესმით, სიძულვილი კი წინასწარ აგრძნობინებთ გარდუვალ, საშინელ ომს, მაგრამ მიუხედავად სიმართლის ცოდნისა, ეს ჰუმანისტები მაინც ვერ ბედავენ მისთვის ბრძოლას; თითქმის ყოველთვის ცხოვრებაში წილი ისეა ნაყარი, რომ ცნობასრულნი არ არიან ისინი, ვინც მოქმედებენ და ქმედითნი არ არიან ისინი, ვინც ყოველივეს აცნობიერებენ. ყველა ეს ტრაგიკული და მგლოვიარე ჰუმანისტი ერთმანეთს გულში ჩამწვდომ და ოსტატურად შედგენილ წერილებს სწერს; თავიანთ სამუშაო კაბინეტებში, ჩაკეტილ კარს უკან მოთქვამენ, მაგრამ პირდაპირ არცერთი არ გამოდის ანტიქრისტეს წინააღმდეგ. დროდადრო ერაზმი თუ გაბედავს ორიოდე ისრის გატყორცნას, თავად ჩრდილში მოქცეული; რაბლე პირქუში ხარხარით

მოიქნევს შოლტს, მასხარის სამოსს ამოფარებული; მონტენი, ეს კეთილშობილი და ბრძენი ფილოსოფოსი, თავის Essais-ში უმჭკვერმეტყველეს სიტყვებს არ იშურებს, მაგრამ სერიოზულად საქმეში ჩარევას, თუნდაც ერთი რომელიმე ბინძური დევნის ან სიკვდილით დასჯის შესაჩერებლად არავინ ცდილობს. გაშმაგებულებთან (ეს შეაგნებინა მათ ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, რამაც ისინი ასეთი ფრთხილი გახადა) ბრძენმა არ უნდა იკამათოს; ასეთ დროში უკეთესია, კაცი ჩრდილში მოექცეს და უკან დაიხიოს, რათა თავადაც არ შეიპყრონ და მსხვერპლად არ იქცეს.

კასტელიო კი – და ეს ქმნის მისი სახელის მარადიულობასა და დიდებას – ყველა ამ ჰუმანიტაგან ერთადერთი, მტკიცედ გამოვიდა თავისი ხვედრის პირისპირ შესაგებებლად. ის გმირული გამბედაობით ესარჩლება დევნილ თანამოძმეებს და ამით საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს. თავად ფანატიკოსების გამუდმებული მუქარის სამიზნე, ყოველგვარი ფანატიზმის გარეშე, სრულიად უშფოთველი და აუღელვებელი, ტოლსტოისებრი ურყევობით აღმართავს პირქუშ დროზე საბრძოლო ალამს თავისი რწმენის თამამი აღიარებით, რომ არცერთ ადამიანს არ შეიძლება ძალმომრეობით თავს მოახვიონ რომელიმე მსოფლმხედველობა, ხოლო ადამიანის სინდისი თავისუფალია და დაუშვებელია, რომელიმე მიწიერმა ძალამ ოდესმე იუფლოს მასზე. და რადგანაც იგი ამას აცხადებს არა რომელიმე პარტიის სახელით, არამედ თავის მრწამსსა და შეხედულებებს ჰუმანურობის მტკიცე სულისკვეთებით აყალიბებს, მისი ნააზრევი, ისევე, როგორც ზოგი მისი გამონათქვამი, სამარადისოდ რჩება. ხელოვანის მიერ გამოთქმული ზოგადსაკაცობრიო, ზედროული აზრები ყოველთვის ინარჩუნებს სინათლესა და მკაფიო ფორმას. მსოფლიოს შემაკავშირებელი შეხედულებები მუდამ უფრო დიდხანს არსებობს, ვიდრე ცალკეული დოქტრინული და აგრესიული. ამ მივიწყებული კაცის უზადლო და სანიშნუშო ვაჟკაცობა კი, უწინარეს ყოვლისა, ზნეობრივ მაგალითად უნდა დარჩეს მომავალი თაობებს, რადგან როდესაც კასტელიო კალვინის მიერ მსხვერპლად შეწირულ სერვეტს მსოფლიოს ყველა თეო-

ლოგის ჯიბრზე უდანაშაულოდ მოკლულს უწოდებს, როდესაც იგი კალვინის სოფიზმს შეაგებებს უკვდავ სიტყვებს: „ადამიანის დანვა ნიშნავს არა რომელიმე მოძღვრების დაცვას, არამედ ადამიანის მკვლევლობას!“ როდესაც იგი თავის „ტოლერანტობის მანიფესტში“ (ლოკზე, ჰუმსა და ვოლტერზე გაცილებით ადრე და მათზე დიდებულად) ერთხელ და სამუდამოდ საჯაროდ აცხადებს, რომ თავისუფალ აზრს უნდა ჰქონდეს არსებობის უფლება, საკუთარ სიცოცხლეს ტარიგად წირავს თავისი რწმენის სანაცვლოდ. ნურავინ ეცდება, მიგელ სერვეტის მკვლევლობის გამო კასტილიოს პროტესტი გაუტოლოს ვოლტერის ათასჯერ უფრო განთქმულ პროტესტს კალასის საქმესთან დაკავშირებით ან ზოლასას – დრეიფუსის პროცესის გამო. მათი ქმედება ოდნავაც ვერ მისწვდება მისი საქციელის ზნეობრივ სიმალლეს, რადგან როდესაც ვოლტერმა კალასისთვის ბრძოლა წამოიწყო, იგი უფრო ჰუმანურ საუკუნეში ცხოვრობდა. ამის გარდა, საქვეყნოდ განთქმულ პოეტს მეფეები და თავადები მფარველობენ, ხოლო ემილ ზოლას, უჩინარი არმიის მსგავსად, მთელი ევროპის, მთელი მსოფლიოს აღტაცება ახვევია გარს. უცხო ადამიანის ბედის გულთან ახლოს მიტანითა და სხვისი გამოქომაგებით ორივე დიდ საფრთხეში აგდებს საკუთარ რეპუტაციასა და მყუდრო ცხოვრებას, მაგრამ არა – და ეს რჩება მთავარ განსხვავებად – საკუთარ სიცოცხლეს, როგორც სებასტიან კასტილიო სჩადის, რომელიც, ჰუმანურობისთვის ბრძოლაში ჩაბმული, თავისი საუკუნის კაცთმოძულეობის მომაკვდინებელ სიმძიმეს თავად განიცდის.

ბოლომდე, ძალ-ღონის გამოლევამდე, იხდიდა სებასტიან კასტილიო თავისი ზნეობრივი გმირობის საფასურს. სულისშემძვრელია ის ამბავი, თუ როგორ მოაშთეს ეს ძალადობის უარყოფის მქადაგებელი, რომელსაც არავითარი იარაღის გამოყენება არ სურდა, სულიერის გარდა. და ვაი, რომ ადამიანი ხელახლა აღმოაჩენს და გააცნობიერებს, რაოდენ უიმედოა ყოველთვის ბრძოლა, რომელშიც მარტო კაცი, სხვა რომელიმე ძალაზე დაყრდნობის გარეშე, მხოლოდ მორალური უფლებების გამოყენებით ეწინააღმდეგება

მჭიდროდ შეკრულ და დარაზმულ ორგანიზაციას. როგორც კი რომელიმე დოქტორინა სახელმწიფო აპარატისა და მისი ზენოლის მექანიზმების ხელში ჩაგდებას მოახერხებს, მაშინვე ტერორის ამუშავებას იწყებს; ვინც მის ყოვლისმომცველ ძლევამოსილებას ეჭვქვეშ დააყენებს, მას სიტყვას ხახაშივე მოუგუდავენ და, უმეტესწილად, ხახის პატრონსაც ზედ მიაყოლებენ. კალვინს კასტელიოსთვის სერიოზულად არასდროს უპასუხია. იგი მის დამუნჯებას ამჯობინებდა. მის წიგნებს კრძალავენ, ხევენ, წვავენ, ართმევენ, პოლიტიკური შანტაჟით მეზობელ კანტონში მისთვის წერის აკრძალვას ახერხებენ. და როდესაც მას პასუხის გაცემისა და ბრალდებების უარყოფის საშუალება აღარ გააჩნია, კალვინის დამქაშები ცილისმწამებლურად ესხმიან თავს. სულ მალე ამას ბრძოლა კი აღარ ეთქმის, არამედ – მხოლოდ საძაგელი ძალმომრეობა დაუცველის მიმართ. ვინაიდან კასტელიოს აღარ შეუძლია ლაპარაკი, წერა, უქმად აწყვია უჯრაში მისი ხელნაწერები, კალვინს კი სტამბები, საეკლესიო კათედრები და სინოდები, სახელმწიფო ხელისუფლების მთელი აპარატი უპყრია ხელთ, რომელთაც ულმობლად ამოქმედებს... კასტელიოს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალავენ, მის ყოველ სიტყვას აყურადებენ, მის წერილებს ხელში იგდებენ – რა გასაკვირია, თუ ამგვარმა ასთავიანმა ორგანიზაციამ ერთ ადამიანს აჯობა! კასტელიო მხოლოდ უდროო სიკვდილმა გადაარჩინა გაძევებას ან დანვას, თუმცა მისი ცხედრის წინაშეც არ ცხრება მოზიემე დოგმატიკოსების დაუფარავი სიძულვილი. გათხრილ საფლავშიც უყრიან მჭამელ კირს – ცილისწამებასა და ეჭვებს მიადევნებენ სამარის კარამდე, მის სახელს კი ნაცარს წააყრიან. იმ ადამიანის ხსოვნა, რომელიც არა მარტო კალვინის, არამედ ყოველგვარი დიქტატურის პრინციპებს ებრძვის, სამარადჟამოდ უნდა დაიკარგოს და დავიწყებას მიეცეს!

ძლევამოსილებით აღჭურვილებმა ლამის ამ უკიდურესი უკეთურობის ჩადენაც მოახერხეს უღონოს მიმართ: მეთოდურმა დევნამ და შევინროებამ არა მარტო ხელი შეუშალა ამ დიდი ჰუმანისტის ეპოქალურ ზეგავლენას, არამედ მრავალი წლით მისი უკ-